

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



“ ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ ”

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების  
ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის  
უფროსი

ჭ. ჭყიშვილი ზურაბ ბუცხრიკიძე

„ 20 “ 11 “ 2013 წელი

ეგზ. № 2

აბაშის მუნიციპალიტეტის მიერ 2013 წლის 6 თვის ბიუჯეტის

შესრულების შესაბამისობის აუდიტის ანგარიში 95 47/00

2013 წელი

## შინაარსი

|                                                                      |                              |
|----------------------------------------------------------------------|------------------------------|
| აუდიტის ძირითადი მიზანი.....                                         | 3                            |
| ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა.....                                 | 3                            |
| აუდიტორის პასუხისმგებლობა.....                                       | 3                            |
| ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ .....                             | 4                            |
| პირობითი აუდიტორული მოსაზრების საფუძვლები შესაბამისობის შესახებ..... | 6                            |
| აბაშის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტი .....                       | 6                            |
| ბიუჯეტის მაჩვენებლები .....                                          | 7                            |
| შემოსულობები.....                                                    | 10                           |
| გადასახდელები.....                                                   | 13                           |
| პირველი ორი კვარტლის შესრულების ანალიზი.....                         | 16                           |
| შემოსულობები.....                                                    | 16                           |
| გადასახდელები.....                                                   | 19                           |
| პროგრამული ბიუჯეტი და პრიორიტეტების დოკუმენტი .....                  | 20                           |
| პირობითი მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ.....      | Error! Bookmark not defined. |
| აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი .....                            | Error! Bookmark not defined. |
| აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები: .....                           | Error! Bookmark not defined. |

### **აუდიტის ძირითადი მიზანი**

დასკვნის გაცემა აბაშის მუნიციპალიტეტის 2013 წლის 6 თვის ბიუჯეტის შესრულების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ.

### **ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა**

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა ორგანიზაციაში შიდა კონტროლის იმგვარი სისტემის დანერგვა და ზედამხედველობა, რომ აბაშის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული საქმიანობა შეესაბამებოდეს მოქმედ კანონმდებლობასა და მარეგულირებელ ნორმებს. გარდა ამისა, ხელმძღვანელი პასუხისმგებელია აუდიტორებისათვის მოწოდებული ინფორმაციის სისწორესა და სისრულეზე.

### **აუდიტორის პასუხისმგებლობა**

აუდიტორი აუდიტის საფუძველზე გამოთქვამს მოსაზრებას, თუ რამდენად შეესაბამება აუდიტის ობიექტის მიერ განხორციელებული საქმიანობა მოქმედ კანონმდებლობასა და მარეგულირებელ ნორმებს. აუდიტი ჩატარებულია უმაღლესი აუდიტორული ორგანოების აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) მიხედვით და აუდიტორების მიერ დაცულ იქნა ეთიკის ყველა ის მოთხოვნა, რასაც ითვალისწინებს აღნიშნული საერთაშორისო სტანდარტები, საქართველოს კანონმდებლობა და სხვა მარეგულირებელი ნორმები.

პროფესიული განსჯის საფუძველზე აუდიტორი არჩევს პროცედურებს, რომლებიც მისი მოსაზრებით, საჭიროა აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად და აუდიტის ობიექტის საქმიანობაში არსებული უზუსტობებისა და რისკების შესაფასებლად, რაც, თავის მხრივ, გამოწვეულია განზრახ არამართლზომიერი ქმედებით ან შეცდომით.

ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები წარმოადგენს საკმარის და შესაფერის საფუძველს აუდიტორული დასკვნების გასაკეთებლად.

## ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ

აბაშის მუნიციპალიტეტის ფართობი განისაზღვრება 320.8 კმ<sup>2</sup>-ით, რომელიც მოიცავს 1 ქალაქს და 38 სოფელს. თვითმმართველი ერთეულის მოსახლეობის რიცხოვნობა შეადგენს 28.7 ათას ადამიანს.

აბაშის მუნიციპალიტეტი საქმიანობას ახორციელებს „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ევროპული ქარტიის, საქართველოს კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობების შესახებ“ და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად. თვითმმართველი ერთეულის დამოუკიდებლობა საბიუჯეტო საქმიანობაში გარანტირებულია საკუთარი შემოსულობებით, რომელიც ასევე მოიცავს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადმოცემულ გათანაბრებით ტრანსფერს.

2013 წლის 1 ივლისის მდგომარეობით, მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულია და ფუნქციონირებს 10 ა(ა)იპ-ი (ცხრილი №1).

ცხრილი №1, აბაშის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ-ები 2013 წლის ივნისის მდგომარეობით (ათასი ლარი)

| აბაშის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ-ები                                             | დაზუსტებული გეგმა        | 6 თვის ფაქტობრივი შესრულება |
|-------------------------------------------------------------------------------|--------------------------|-----------------------------|
| აბაშის კეთილმოწყობა                                                           | 325                      | 155                         |
| აბაშის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლის გარეშე სააღმზრდელო დაწესებულებები | 337.3                    | 152.2                       |
| აბაშის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის განვითარების ცენტრი                          | 114.7                    | 51.9                        |
| აბაშის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარების ცენტრი                            | 222.2                    | 105.1                       |
| აბაშის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო განვითარების ცენტრი                       | 100                      | 53.3                        |
| აბაშის მუნიციპალიტეტის ხელოვნების სკოლა                                       | 84.9                     | 38                          |
| აბაშის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი                                        | 175                      | 83.7                        |
| აბაშის „მაცნე“                                                                | 36.6                     | 21.3                        |
| <u>აბაშის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი</u>                  | <u>237.6<sup>1</sup></u> | <u>19.1</u>                 |
| აბაშის მუნიციპალიტეტის სასაფლაოების მართვის ცენტრი                            | 87.8                     | 20.2                        |
| აბაშის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი                        | 67.8                     | 35                          |

<sup>1</sup> 2012 წლის 28 დეკემბრის №35 განკარგულებით დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 18 დეკემბრის №88 განკარგულების საფუძველზე, ა(ა)იპ „აბაშის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი“ რეორგანიზაციის შედეგად გაიყო ა(ა)იპ „აბაშის მუნიციპალიტეტის ხელოვნების სკოლად“ და ა(ა)იპ „აბაშის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრად“. შედეგად ორივე ა(ა)იპ-ის სუბსიდირების ხარჯებმა ჯამში შეადგინა 260 ათასი ლარი, რაც 22.4 ათასი ლარით აჭარბებს რეორგანიზაციამდე არსებული ა(ა)იპ-ისათვის ბიუჯეტში გაწერილ ხარჯებს.

აბაშის მუნიციპალიტეტი საბიუჯეტო პროცესს წარმართავს საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით დადგენილი ნორმების შესაბამისად. კანონის თანახმად, ბიუჯეტის პროექტის მომზადების, წარდგენისა და შესრულების პროცესს კოორდინაციას უწევს გამგეობის საფინანსო სამსახური, ხოლო წლიურ ბიუჯეტს ამტკიცებს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანო - საკრებულო.

## *პირობითი აუდიტორული მოსაზრების საფუძვლები შესაბამისობის შესახებ*

### **აბაშის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტი**

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტი დაამტკიცა 2012 წლის 28 დეკემბერის №35 დადგენილებით. აბაშის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი მომზადებულია 2013 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის<sup>2</sup> ფარგლებში განსაზღვრულ პროგრამებსა და ქვეპროგრამებზე დაყრდნობით. ვინაიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის ბიუჯეტის პროგრამული ფორმატით მომზადების ვალდებულება 2013 წელს წარმოიქმნა, პროგრამების საბოლოო შედეგებისა და ქვეპროგრამების შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები არ არის წარმოდგენილი საკრებულოს მიერ დამტკიცებულ ბიუჯეტში და გაწერილია მხოლოდ მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტში.

აბაშის მუნიციპალიტეტის წლიურ ბიუჯეტში, პირველი ექვსი თვის განმავლობაში შევიდა შვიდი ცვლილება. სამ შემთხვევაში ბიუჯეტის ცვლილება გამოწვეული იყო ცენტრალური ხელისუფლების მიერ ტრანსფერების მოცულობის ზრდით. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების ასახვის მიზნით, მუნიციპალიტეტი ვალდებულია ერთი თვის ვადაში მოახდინოს ბიუჯეტის კორექტირება. დანარჩენ ოთხ შემთხვევაში, ცვლილების მიზეზი გახდა არა გრანტების, არამედ მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსულობების ხარჯვითი ნაწილის დაზუსტება. მუნიციპალიტეტის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი წერილობითი დასაბუთება, თუ რით იყო განპირობებული ბიუჯეტში შეტანილი აღნიშნული ცვლილებები. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, რიგ შემთხვევებში, ბიუჯეტის ერთი მუხლიდან თანხების სხვა მუხლში გადასატანად ცვლილებების მოტივი მხოლოდ სიტყვიერად იყო შეთანხმებული საკრებულოსა და გამგეობის ხელმძღვანელ პირებთან. შესაბამისად, აუდიტის ჯგუფმა ვერ მოიპოვა გონივრული მტკიცება იმისა, თუ რამდენად ოპტიმალურად დაზუსტდა

---

<sup>2</sup>დამტკიცებულია 2012 წლის 27 დეკემბერის საკრებულოს №99 განკრავილებით.

ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი ცვლილებების შედეგად და რამდენად ეფექტიანად მოხდა თანხების გადანაწილება ბიუჯეტის პროგრამებს შორის. მსგავსი პრობლემის თავიდან აცილების მიზნით, სასურველია არსებობდეს საფინანსო სამსახურისადმი გამგეობის დანარჩენი სამსახურების წერილობითი მომართვა, როგორც დასტური იმისა, რომ ამა თუ იმ მუხლში ცვლილების განხორციელება წარმოადგენს მუნიციპალიტეტის რეალურ საჭიროებას.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ცვლილებების განხორციელებისას არ მომხდარა საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 69-ე მუხლის მეორე პუნქტის დაშვების გათვალისწინება. კერძოდ, თუ თანხის გადანაწილება ერთი პრიორიტეტის ფარგლებში არ აჭარბებს წლიური ბიუჯეტით დამტკიცებული გადასახდელების 5%-იან ზღვარს, თვითმმართველ ერთეულს შეუძლია ცვლილება არ შეიტანოს წლიურ ბიუჯეტში. მსგავსი საკითხების გათვალისწინება ბიუჯეტის ცვლილებების განხორციელებამდე, ხელს შეუწყობს საბიუჯეტო პროცესის უფრო მოქნილად წარმართვას და საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესებას.

### **ბიუჯეტის მაჩვენებლები**

აბაშის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 6 თვის განმავლობაში შესული ყველა ცვლილების გათვალისწინებით, გადასახდელების მოცულობა განისაზღვრა 7 626.3 ათასი ლარით, შემოსულობების - 7 247.6 ათასი ლარით, ხოლო ნაშთის ცვლილებამ შეადგინა 378.7 ათასი ლარი. ბიუჯეტის აგრეგირებული მაჩვენებლების (შემოსულობები, გადასახდელები) დინამიკა ცვლილებების მიხედვით ნაჩვენებია №2 ცხრილში<sup>3</sup>, ხოლო №3 ცხრილში - დამტკიცებული და დაზუსტებული ბიუჯეტის ბალანსების შედარება.

---

<sup>3</sup>ცხრილში მოყვანილია მხოლოდ მნიშვნელოვანი ცვლილებები და არა 2013 წლის 1 ივლისის მდგომარეობით განხორციელებული შვიდივე ცვლილება.

ცხრილი №2. 2013 წლის ბიუჯეტის აგრეგირებული მაჩვენებლები ბიუჯეტის კანონის ცვლილებების მიხედვით (ათასი ლარი)

|                                              | 28.12.2012    | 21.01.2013    | 25.06.2013    |
|----------------------------------------------|---------------|---------------|---------------|
| <b>შემოსულობები</b>                          | <b>4454.9</b> | <b>4454.9</b> | <b>7247.6</b> |
| შემოსავლები                                  | 4454.9        | 4454.9        | 7247.6        |
| არაფინანსური აქტივების კლება                 | -             | -             | -             |
| ფინანსური აქტივების კლება(ნაშთის გამოკლებით) | -             | -             | -             |
| ვალდებულებების ზრდა                          | -             | -             | -             |
| <b>გადასახდელები</b>                         | <b>4454.9</b> | <b>4833.1</b> | <b>7626.3</b> |
| ხარჯები                                      | 4205.9        | 4291.2        | 4326.9        |
| არაფინანსური აქტივების ზრდა                  | 249           | 541.9         | 3299.4        |
| ფინანსური აქტივების ზრდა(ნაშთის გამოკლებით)  | -             | -             | -             |
| ვალდებულებების კლება                         | -             | -             | -             |
| <b>ნაშთის ცვლილება</b>                       | <b>0</b>      | <b>-378.2</b> | <b>-378.7</b> |

ბიუჯეტში განხორციელებული პირველი ცვლილება (21.01.2013) დაკავშირებულია 2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ანგარიშზე რიცხული 378.2 ათასი ლარის ნაშთის გამოყენებასთან, რის შედეგადაც ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი გაიზარდა იმავე თანხით. ვინაიდან ნაშთის ცვლილების სახით მიღებული შემოსულობა იმ პერიოდის დაზუსტებული ბიუჯეტის შემოსულობების 8%-ს უტოლდება, შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ მუნიციპალიტეტს ბიუჯეტის დაგეგმვისას, წინა პლანზე წამოწეული აქვს საბიუჯეტო კოდექსით განსაზღვრული ბიუჯეტის დამტკიცების ვადების დაცვა, ხოლო პარამეტრების დაგეგმვის სიზუსტეს ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება და მისი დაზუსტება და სრულყოფა საბიუჯეტო წლის მიმდინარეობისას ხორციელდება. 6 თვის ყველა ცვლილების გათვალისწინებით, დაზუსტებულ ბიუჯეტში შემოსულობებისა და გადასახდელების მოცულობა გაზრდილია სახელმწიფო ბიუჯეტიდან სპეციალური ტრანსფერის გამოყოფის შედეგად, ხოლო ნაშთის 500 ლარით ცვლილება გამოიწვია „ჯარიმების, სანქციებისა და საურავების“ მუხლით მიღებულმა შემოსავალმა.

ცხრილი №3. აბაშის მუნიციპალიტეტის 2013 წლის დამტკიცებული და დაზუსტებული ბიუჯეტის ბალანსი (ათასი ლარი)

|          | დასახელება                             | 2013 წლის<br>ბიუჯეტი<br>(28.12.2012) | 2013 წლის<br>ბიუჯეტი<br>(25.06.2013) | ცვლილება      |
|----------|----------------------------------------|--------------------------------------|--------------------------------------|---------------|
| <b>1</b> | <b>შემოსავლები</b>                     | <b>4454.9</b>                        | <b>7247.6</b>                        | <b>2792.7</b> |
|          | გადასახადები                           | 260.0                                | 260.0                                | 0.0           |
|          | გრანტები                               | 4054.9                               | 6847.6                               | 2792.7        |
|          | სხვაშემოსავლები                        | 140.0                                | 140.0                                | 0.0           |
| <b>2</b> | <b>ხარჯები</b>                         | <b>4205.9</b>                        | <b>4326.9</b>                        | <b>121.0</b>  |
| <b>3</b> | <b>საოპერაციო სალდო</b>                | <b>249.0</b>                         | <b>2920.7</b>                        | <b>2671.7</b> |
| <b>4</b> | <b>არაფინანსური აქტივების ცვლილება</b> | <b>249.0</b>                         | <b>3299.4</b>                        | <b>3050.4</b> |
|          | ზრდა                                   | 249.0                                | 3299.4                               | 3050.4        |
|          | კლება                                  | 0.0                                  | 0.0                                  | 0.0           |
| <b>5</b> | <b>მთლიანი სალდო</b>                   | <b>0.0</b>                           | <b>-378.7</b>                        | <b>-378.7</b> |
| <b>6</b> | <b>ფინანსური აქტივების ცვლილება</b>    | <b>0.0</b>                           | <b>-378.7</b>                        | <b>-378.7</b> |
|          | ზრდა                                   | 0.0                                  | 0.0                                  | 0.0           |
|          | კლება                                  | 0.0                                  | 378.7                                | 378.7         |
| <b>7</b> | <b>ვალდებულებების ცვლილება</b>         | <b>0.0</b>                           | <b>0.0</b>                           | <b>0.0</b>    |
|          | ზრდა                                   | 0.0                                  | 0.0                                  | 0.0           |
|          | კლება                                  | 0.0                                  | 0.0                                  | 0.0           |
| <b>8</b> | <b>ბალანსი</b>                         | <b>0.0</b>                           | <b>0.0</b>                           | <b>0.0</b>    |


მუნიციპალიტეტის დამტკიცებული და დაზუსტებული ბიუჯეტის ბალანსის შედარება იძლევა შემდეგ სურათს:

- დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით, შემოსავლების პროგნოზი გაიზარდა 2 792.8 ათასი ლარით (62%). ზრდა გამოწვეული იყო სპეციალური ტრანსფერის მოცულობის ზრდით;
- დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით, გაიზარდა ხარჯების მოცულობა - 121 ათასი ლარი (2%);
- ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, გაიზარდა საოპერაციო სალდო;
- განხორციელებული ცვლილებების შედეგად, არაფინანსური აქტივების ზრდისთვის განსაზღვრული დაფინანსება გაიზარდა 3 050.4 ათასი ლარით;
- შედეგად, 378.7 ათასი ლარით გაიზარდა ბიუჯეტის დეფიციტი, რომლის დაფინანსება ფინანსური აქტივების კლებით ხორციელდება.


## შემოსულობები

ბიუჯეტის შემოსულობები თავდაპირველი გეგმით განისაზღვრა 4 454.9 ათასი ლარით. ყველა ცვლილების გათვალისწინებით, ბიუჯეტის შემოსულობები მოიცავს მხოლოდ შემოსავლებს (ქონების გადასახადი, გრანტები, სხვა შემოსავლები), ხოლო არაფინანსური და ფინანსური აქტივების კლება მიმდინარე საბიუჯეტო წელს დაგეგმილი არ არის. ცვლილებებში ასახული შემოსულობების ზრდა გამოწვეულია მხოლოდ გრანტების, კერძოდ, სპეციალური ტრანსფერების ზრდით. №1 დიაგრამასა და №2 დიაგრამაში ნაჩვენებია ბიუჯეტის შემოსავლების ცალკეული კომპონენტების წილი თავდაპირველი დამტკიცებული ბიუჯეტისა და 6 თვის ყველა ცვლილების გათვალისწინებით, ხოლო № 4 ცხრილში - სახელმწიფო ბიუჯეტიდან ტრანსფერების სახით დამტკიცებული თანხები.

დიაგრამა №1. შემოსავლები 28. 12. 2012 (ათასი ლარი)



დიაგრამა №2. შემოსავლები 25. 06. 2013 (ათასი ლარი)



ცხრილი №4. ტრანსფერები 2013 წლის გეგმა (ათასი ლარი)

| ტრანსფერები                            | 28.12.2012 | 25.06.2013          |
|----------------------------------------|------------|---------------------|
| გათანაბრებითი                          | 3914.9     | 3914.9              |
| მიზნობრივი                             | 140        | 140                 |
| სპეციალური მ.შ.                        | 0          | 2792.7              |
| რეგიონების ფონდის პირველადი განაწილება | 0          | 2214.1 <sup>4</sup> |
| სოფლის მხარდაჭერის პროგრამა            | 0          | 578.6 <sup>5</sup>  |

<sup>4</sup> საქართველოს მთავრობის განკარგულება №466; 19.05.2013 (ბიუჯეტში აისახა 08.05.2013).

<sup>5</sup> საქართველოს მთავრობის განკარგულება №569; 17.06.2013 (ბიუჯეტში აისახა 25.06.2013).

ექსკლუზიურ უფლებამოსილებათა განსახორციელებლად, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყოფა გათანაბრებითი ტრანსფერი, რომლის გამოყენების მიმართულებებს დამოუკიდებლად განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობის საკრებულო. 2013 წლისათვის, აბაშის მუნიციპალიტეტს გათანაბრებითი ტრანსფერის სახით გამოეყო 3 914.9 ათასი ლარი, რომელიც დაზუსტებული ბიუჯეტის მთლიანი შემოსულობების 54%-ია. აღნიშნული მაჩვენებლის სიდიდე თვითმმართველობების ცენტრალურ ხელისუფლებაზე დამოკიდებულების მაღალ ხარისხზე მიუთითებს.

2013 წელს აბაშის მუნიციპალიტეტისათვის სახელმწიფოსგან დელეგირებულ უფლებამოსილებათა განსახორციელებლად, მიზნობრივი ტრანსფერის სახით გამოყოფილმა თანხებმა შეადგინა 140.0 ათასი ლარი. ბიუჯეტის ბალანსში, ხარჯებსა და არაფინანსური აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალურ კლასიფიკაციასა და ასიგნებების პროგრამულ კლასიფიკაციაში მუნიციპალიტეტს აღნიშნული შემოსავლები ასახული აქვს, როგორც საკუთარი შემოსულობა. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მიხედვით, მიზნობრივი ტრანსფერი არ მიეკუთვნება თვითმმართველი ერთეულის საკუთარ შემოსულობას და შესაბამისად, ბიუჯეტში ასახული უნდა იქნეს როგორც თვითმმართველობის არასაკუთარი შემოსულობები. აღნიშნულმა შეცდომამ საბიუჯეტო წლის დასრულებისას შესაძლოა წარმოშვას მიზნობრივი ტრანსფერიდან დარჩენილი გაუხარჯავი თანხის საკუთარი შემოსულობებისგან დიფერენცირების პრობლემა. შესაბამისად, არსებობს რისკი, რომ მიზნობრივი ტრანსფერის სახით გამოყოფილი თანხები, აღრიცხვასთან დაკავშირებული ხარვეზებიდან გამომდინარე, გაიხარჯოს მიზნობრიობის დარღვევით.

ცხრილი №5: მუნიციპალიტეტის დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი თანხების განაწილება 2013 წლის დაზუსტებულ ბიუჯეტში (ათასი ლარი)

| მუნიციპალიტეტის დელეგირებული უფლებამოსილებები             | სულ          | საკუთარი    | არასაკუთარი |
|-----------------------------------------------------------|--------------|-------------|-------------|
| საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახური <sup>6</sup>           | 70.2         | 10.2        | 60          |
| თავდაცვის კუთხით დელეგირებული უფლებამოსილება <sup>7</sup> | 93.1         | 18.6        | 74.5        |
| ვეტერანთა სარიტუალო მომსახურება <sup>8</sup>              | 2.5          | 0           | 2.5         |
| გარდაცვლილ დევნილთა სარიტუალო მომსახურება <sup>9</sup>    | 3            | 0           | 3           |
| <b>სულ</b>                                                | <b>168.8</b> | <b>28.8</b> | <b>140</b>  |

№5 ცხრილში ნაჩვენებია მუნიციპალიტეტისათვის სახელმწიფოსგან დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად 2013 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული თანხები. ცხრილში „საკუთარ ფინანსებს“ მიეკუთვნება „საკუთარი შემოსულობებიდან“ გამოყოფილი თანხები, ხოლო „არასაკუთარს“ - მიზნობრივი ტრანსფერის სახით მიღებული შემოსავლები. დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად მუნიციპალიტეტს გარდა მიზნობრივი ტრანსფერისა, დაგეგმილი აქვს დამატებით 28.8 ათასი ლარის საკუთარი შემოსულობების გახარჯვა. ვინაიდან აღნიშნული უფლებამოსილებები თვითმმართველობას დელეგირებული აქვს სახელმწიფო ბიუჯეტიდან და მათზე დამატებითი თანხის გამოყოფა არ წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ვალდებულებას, შესაძლებელია, უმჯობესი იყოს საკუთარი შემოსულობების მიმართვა ისეთ საქმიანობაზე, რომელიც „ადგილობრივი თვითმმართველობების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, უშუალოდ მისი უფლებამოსილება და ვალდებულებაა.

2013 წელს სხვა შემოსავლების სახით მისაღები შემოსულობები (ცხრილი №6) ბიუჯეტის დაზუსტების შედეგად არ შეცვლილა და განისაზღვრა 140 ათასი ლარით,

<sup>6</sup> „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ კანონით განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელებისათვის.

<sup>7</sup> „სამხედრო ვალდებულებებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელებისათვის.

<sup>8</sup> „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ კანონით განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელებისათვის.

<sup>9</sup> „იმპულსებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა შესახებ“ კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელებისათვის.

აღნიშნული მუხლი ძირითადად მოიცავს ჯარიმებიდან და საურავებიდან მისაღებ შემოსავლებს.

ცხრილი №6. სხვა შემოსავლების 2013 წლის დაზუსტებული გეგმა (ათასი ლარი)

| სხვა შემოსავლები                              | 140 |
|-----------------------------------------------|-----|
| შემოსავლები საკუთრებიდან, მ.შ.                | 15  |
| რენტა                                         | 15  |
| საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია, მ.შ.    | 18  |
| ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები | 18  |
| ჯარიმები, სანქციები და საურავები              | 107 |

### გადასახდელები

აბაშის მუნიციპალიტეტის „გადასახდელები“ თავდაპირველად დამტკიცებულ ბიუჯეტში 4 455.9 ათასი ლარით განისაზღვრა, ხოლო პირველი ივლისის მდგომარეობით, ყველა ცვლილების გათვალისწინებით, ბიუჯეტის გადასახდელები გაიზარდა 7 626.3 ათას ლარამდე. ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ზრდა გამოიწვია როგორც წლის დასაწყისში არსებულმა გარდამავალმა ნაშთმა, ასევე სპეციალური ტრანსფერის სახით გამოყოფილმა თანხებმა.


გაუთვალისწინებელი გადასახდელების დასაფინანსებლად, ბიუჯეტში შექმნილია სარეზერვო ფონდი, რომლის განკარგვაც ხორციელდება აბაშის მუნიციპალიტეტის გამგებლის გადაწყვეტილებით. 6 თვის ყველა ცვლილების გათვალისწინებით, სარეზერვო ფონდის მოცულობა ბიუჯეტის მთლიანი ასიგნების 0,12%-დან 0,18%-მდე მერყეობს.<sup>10</sup> კერძოდ, სარეზერვო ფონდი საბიუჯეტო წლის დასაწყისისთვის განისაზღვრა 9.9 ათასი ლარით, ხოლო განხორციელებული ცვლილებების შედეგად გაიზარდა 14.1 ათას ლარამდე. წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა

<sup>10</sup>საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მიხედვით, სარეზერვო ფონდის ზღვრული მოცულობა განისაზღვრება წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების მთლიანი ოდენობის 2%-ით (მუხლი 67, პუნქტი 1).

და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი 2013 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული არ არის.

ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებული ასიგნებები გაწერილია (I) ხარჯებსა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით და (II) პროგრამული კლასიფიკაციის მიხედვით. №3 დიაგრამაში ნაჩვენებია ბიუჯეტის ხარჯების და არაფინანსური აქტივების საპროგნოზო გადანაწილება ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით.

დიაგრამა №3: ხარჯები და არაფინანსური აქტივები ფუნქციონალური კლასიფიკაციით (ათასი ლარი)



წლიური საბიუჯეტო ასიგნების ყველაზე დიდი წილი მოდის ეკონომიკურ საქმიანობასა (გადასახდელების 40%) და საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაზე (გადასახდელების 30%). საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების მუხლზე გამოყოფილი ასიგნებების 99%-ს (2 300.2 ათასი ლარი) აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა შეადგენს, ხოლო დანარჩენი 1% (19.1 ათასი ლარი) - სარეზერვო ფონდსა და საერთო დანიშნულების სხვა მომსახურებაზე ნაწილდება. ეკონომიკურ საქმიანობაზე თავდაპირველად დამტკიცებულ ბიუჯეტში ასიგნებები გათვალისწინებული არ იყო, თუმცა, 6 თვის ყველა ცვლილების გათვალისწინებით, აღნიშნულ მუხლზე ასიგნებები

გაწერილია 3 051.1 ათასი ლარის ოდენობით, რაც სპეციალური ტრანსფერების სახით გამოყოფილი თანხის მატებით და ნაშთის ცვლილების დაზუსტებით არის გამოწვეული.

ბიუჯეტში ცვლილებები განხორციელდა ისეთ მუხლებთან დაკავშირებითაც, რომელიც არ იყო გამოწვეული ტრანსფერების სახით მისაღები შემოსავლების ზრდით. მაგალითად, გარემოს დაცვის მუხლი 4%-ით (26 ათასი ლარი), ხოლო საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების მუხლი - 11%-ით (37 ათასი ლარი) მეტია თავდაპირველად დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით. დასვენების, კულტურისა და რელიგიის მუხლი გაზრდილია 47.0 ათასი ლარით. ცვლილებების ძირითადი განმაპირობებელი ფაქტორი თავდაპირველ ბიუჯეტში ის იყო, რომ მასში გარდამავალი ნაშთი არ აისახა. შედეგად, როცა ნაშთი ბიუჯეტში აისახა, თანხები სხვადასხვა პროგრამებში ასიგნებებად გადანაწილდა. აღნიშნული პროცედურები თავის მხრივ საჯარო ფინანსების მართვის კუთხით არსებულ ხარვეზებზე მიუთითებს. მსგავსი შინაარსის საკითხები სასურველია გათვალისწინებულ იქნეს ბიუჯეტის პროექტის განხილვისას.

მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის გეგმაში ადგილობრივი დანიშნულების 55.0 ათასი ლარის გზების მოხრეშვითი სამუშაოები აღირიცხება, როგორც კაპიტალური ხარჯი და კლასიფიცირებულია არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით. ძირითად შემთხვევაში, აღნიშნული ტიპის სამუშაოები გულისხმობს აქტივების მიმდინარე შეკეთებას მათ სამუშაო მდგომარეობაში შენახვის მიზნით, რაც მნიშვნელოვნად არ აუმჯობესებს გზის სასიცოცხლო ციკლს და მხოლოდ მოკლევადიანი ეფექტი აქვს. საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, მსგავსი ტიპის სამუშაოებზე გაწეული ხარჯები არ წარმოადგენს კაპიტალურ დანახარჯს და კლასიფიცირებული უნდა იყოს, როგორც მიმდინარე ხარჯები - საქონლისა და მომსახურების მუხლში. ამდენად, არსებობს მაღალი რისკი, რომ აბაშის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის ბალანსში არაფინანსური აქტივების კლებისა და საქონლისა და მომსახურების მუხლების საპროგნოზო მაჩვენებლები, აღნიშნული თანხით არასწორად არის წარმოდგენილი.

## პირველი ორი კვარტლის შესრულების ანალიზი

აბაშის მუნიციპალიტეტი საბიუჯეტო კოდექსის თანახმად ამზადებს მიმდინარე წლის ბიუჯეტის კვარტალურ განწერას. ყოველი კვარტლის ბოლოს ხდება განწერის კორექტირება იმავე კვარტლის დაზუსტებული ბიუჯეტის შესაბამისად. აუდიტის ჯგუფმა პირველი 6 თვის ბიუჯეტის შესრულების ანალიზი მოამზადა მუნიციპალიტეტიდან მოწოდებული ბიუჯეტის შესრულების შესახებ ინფორმაციის მიხედვით.

ცხრილი №7. ორი კვარტლის ბიუჯეტის შესრულება

| დასახელება    | 6 თვის ფაქტი | გადახრა I კვარტლის დაზუსტებული განწერიდან | გადახრა II კვარტლის დაზუსტებული განწერიდან |
|---------------|--------------|-------------------------------------------|--------------------------------------------|
| შემოსულობები  | 2202.1       | -4%                                       | 1%                                         |
| გადასახდელები | 2352.4       | 6%                                        | -1%                                        |

№7 ცხრილში ნაჩვენებია პირველი - ორი კვარტლის ბიუჯეტის აგრეგირებული მაჩვენებლების (შემოსულობები, გადასახდელები) ფაქტობრივი მონაცემები, პირველი და მეორე კვარტლების დაზუსტებულ განწერასთან შედარებით. თავდაპირველი განწერით, შემოსულობები დაიგემა უფრო მეტი, ვიდრე ფაქტობრივად იქნა მიღებული, ხოლო ხარჯები უფრო ნაკლები, ვიდრე ფაქტობრივად იქნა გახარჯული, მეორე კვარტალში კი აღნიშნულ მაჩვენებლებს შორის გადახრა 1%-ს შეადგენს. შესაბამისად, ცხრილიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მუნიციპალიტეტში მეორე კვარტლის შემოსულობებისა და გადასახდელების დაგეგმვა უფრო ეფექტიანად განხორციელდა.

### შემოსულობები

პირველი ორი კვარტლის შესრულების მონაცემებით, ბიუჯეტის შემოსულობები განისაზღვრა 2 211.7 ათასი ლარით, რაც წლიური გეგმის 31%-ს შეადგენს. აღნიშნული თანხიდან 9.8 ათასი ლარი მიღებულია არაფინანსური აქტივების კლებიდან, ხოლო

დანარჩენი თანხა - ბიუჯეტის შემოსავლებიდან (ქონების გადასახადი, გრანტები, სხვა შემოსავლები). 2013 წლის ბიუჯეტში არაფინანსური აქტივების კლებით მიღებული შემოსულობები დაგეგმილი არ არის, თუმცა მუნიციპალიტეტმა მიიღო შემოსულობა სახელმწიფო საკუთრებაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გაყიდვიდან, რომელიც განლაგებულია ადგილობრივი თვითმმართველობის ტერიტორიაზე. №4 დიაგრამაში ნაჩვენებია აღნიშნული პერიოდის შემოსავლის პროცენტული განაწილება.

დიაგრამა №4. შემოსავლები 2013 წლის II კვარტლს ფაქტის მიხედვით (ათასი ლარი)



აბაშის მუნიციპალიტეტს მიმდინარე ანგარიში გახსნილი აქვს სს „ლიბერთი ბანკში“. 2013 წლის 1-ელ თებერვალს მხარეებს შორის გაფორმებული შეთანხმების<sup>11</sup> თანახმად, მუნიციპალიტეტს მიმდინარე ანგარიშის ყოველდღიურ ნაშთზე ერიცხება წლიური 7% სარგებელი. 2013 წლის 1 ივლისის მდგომარეობით, მუნიციპალიტეტს სარგებლის სახით დაერიცხა 6.7 ათასი ლარი. საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის<sup>12</sup> მიხედვით, ფულადი რესურსების სხვა ეკონომიკურ ერთეულზე დროებით სარგებლობაში გადაცემიდან მიღებული სარგებელი განეკუთვნება პროცენტის სახით მიღებულ შემოსავალს. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში აღნიშნული თანხა, ნაცვლად „საპროცენტო შემოსავალის“ მუხლისა, ასახულია „შერეული და სხვა

<sup>11</sup> 2012 წლის 22 მარტის „საბანკო ოპერაციების წარმოებაზე ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ შეთანხმება.

<sup>12</sup> საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება № 672; 25.08.2010.

არაკლასიფიცირებული შემოსავლების“ მუხლში. შესაბამისად, ბიუჯეტში აღნიშნული მუხლები არასწორი თანხით არის წარმოდგენილი.

მხარეებს შორის დადებული შეთანხმება, როგორც დოკუმენტიდან ირკვევა, წარმოადგენს 2012 წლის 22 მარტს გაფორმებული საბანკო ოპერაციების წარმოების ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს მასთან ერთობლიობაში. აღნიშნული ხელშეკრულების 3.1.4 პუნქტის პირობაა, რომ კლიენტის (მოცემულ შემთხვევაში მუნიციპალიტეტის) მოთხოვნის შესაბამისად, ბანკი იღებს ვალდებულებას, რომ დააფინანსოს სოციალური და ინფრასტრუქტურული პროექტები. 2013 წლის შეთანხმების მიხედვით, ამ პუნქტში ცვლილება არ შესულა. ეს პირობა ეწინააღმდეგება საქართველოს საბიუჯეტო სისტემის უნივერსალობის პრინციპს, კერძოდ, ბიუჯეტის ყველა შემოსულობა მიმართული უნდა იყოს საერთო გადასახდელების დასაფინანსებლად და არც ერთი შემოსულობა (გარდა დონორების მიერ დაფინანსებული შემოსულობებისა) არ უნდა იქნეს მიმართული მიზნობრივად, კონკრეტული გადასახდელის დასაფინანსებლად. მიუხედავად იმისა, რომ ბიუჯეტის შესრულების 6 თვის მონაცემებით, ბანკის აღნიშნული ვალდებულების შესრულებაზე მოთხოვნა არ ყოფილა, საბანკო ოპერაციების წარმოებაზე შეთანხმების ეს პუნქტი, კანონშესაბამოა და საჭიროებს ცვლილებას.

მუნიციპალიტეტის მიერ 2013 წლის 25 მარტს მიმწოდებელთან გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების №12 ხელშეკრულების შესაბამისად, საქონლის მიწოდების ვადების დარღვევისათვის, მიმწოდებელს დაეკისრა საჯარიმო სანქცია (პირგასამტეხლო) 543.9 ლარის ოდენობით. საჯარიმო თანხების მისაღებად, მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ თანხის ამოღება მოხდა არა შემსრულებლების მიერ შესაბამის ანგარიშზე ჩარიცხვით, არამედ მიმწოდებელს გადასახდელი თანხა დაუკავდა მთლიანი მისაღები თანხიდან, რამაც საბოლოოდ გამოიწვია შეუსაბამოა შესრულებულ სამუშაოზე გაწეულ ფაქტობრივ და საკასო ხარჯებზე. გარდა ამისა, საბიუჯეტო კლასიფიკაციით, საჯარიმო თანხების ასახვისათვის „განსაზღვრული შემოსავლების მუხლი“ შესაბამისი თანხით

არასწორად იქნა წარმოდგენილი. არსებობს რისკი, რომ აღნიშნული შეცდომა სისტემური ხასიათისაა და მომავალშიც შეიძლება განმეორდეს, ამიტომ აუცილებელია შემუშავდეს მსგავსი ხარვეზის თავიდან აცილების მექანიზმი.

### გადასახდელები

ბიუჯეტის შესრულების 6 თვის მონაცემებით, გადასახდელების მოცულობა განისაზღვრა 7 626.3 ათასი ლარით, რაც წლიური გეგმით გათვალისწინებულის 30%-ს უტოლდება. №6 6 ცხრილში ნაჩვენებია აბაშის მუნიციპალიტეტისათვის გადასახდელების წლიური გეგმისა და 6 თვის ფაქტობრივ შესრულებას შორის გადახრა, ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის გათვალისწინებით, ხოლო №4 დიაგრამაში 6 თვის განმავლობაში გაწეული ხარჯები.

ცხრილი №8. გადასახდელების 6 თვის ფაქტი წლიურ გეგმასთან მიმართებაში (ათასი ლარი)

| გადასახდელები (ათასი ლარი)  | წლიური გეგმა | 6 თვის შესრულება | პროცენტული წილი |
|-----------------------------|--------------|------------------|-----------------|
| გადასახდელები               | 7 626.327    | 2320.549         | 30%             |
| ხარჯები                     | 4326.911     | 2195.049         | 51%             |
| არაფინანსური აქტივების ზრდა | 3299.416     | 125.5            | 4%              |

დიაგრამა №5: ხარჯები 2013 წლის II კვარტლის ფაქტის მიხედვით (ათასი ლარი)



აბაშის მუნიციპალიტეტს 2013 წლის 4 აპრილს, საქართველოს მთავრობის №311 განკარგულებით, გამოეყო 65.0 ათასი ლარი, კონკრეტული ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო და საექსპერტო მომსახურების შესყიდვის მიზნით. საექსპერტო

მომსახურება მუნიციპალტეტმა შეიძინა 31.8 ათას ლარად, ხოლო საპროექტო მომსახურება 7.0 ათას ლარად. საპროექტო მომსახურების შესყიდვის ანგარიშსწორებისას, მუნიციპალიტეტს გაგზავნილი არ ჰქონდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსათვის მოთხოვნა, თანხის გადმორიცხვის შესახებ. შესაბამისად, საპროექტო მომსახურების შესყიდვა განხორციელდა მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსულობებიდან, კერძოდ, საბანკო ანგარიშზე რიცხული ნაშთით. აღსანიშნავია, რომ საჭირო პროცედურების განხორციელების შემთხვევაში, მუნიციპალიტეტი, ერთი მხრივ, თავიდან აიცილებდა თანხის არ ჩამორიცხვის რისკს, ხოლო მეორე მხრივ, არ დაკარგავდა მიმდინარე ანგარიშზე ყოველდღიურად არსებულ ნაშთზე მისაღებ საპროცენტო სარგებელს. ამ კონკრეტული შემთხვევაში თანხა მცირეა, მაგრამ თუ მსგავსი ხარვეზები სისტემურ ხასიათს მიიღებს, შესაძლოა ამას მნიშვნელოვანი ფინანსური დანაკარგი მოჰყვეს.

### **პროგრამული ბიუჯეტი და პრიორიტეტების დოკუმენტი**

პროგრამული ბიუჯეტის არსებობა, თავის მხრივ, საშუალებას იძლევა დაგეგმვის პროცესიდანვე ბიუჯეტი ორიენტირებული იყოს შედეგებზე, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ აბაშის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი წელს პირველად მომზადდა პროგრამული ფორმატით, შეინიშნება გარკვეული ხარვეზები. მიმდინარე ეტაპისათვის პროგრამები უმეტესწილად მორგებულია ორგანიზაციულ სტრუქტურას და ბიუჯეტის პრიორიტეტები რეალურად არ ასახავს „ადგილობრივი თვითმმართველობების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრულ თვითმმართველობის საკუთარ უფლებამოსილებებს. დასახვეწია საბოლოო და შეუალედიური შედეგების შეფასების ინდიკატორები, რომლებიც პროგრამის მიზნის მიღწევის შესაფასებლად უნდა იქნეს გამოყენებული.

ბიუჯეტისა და პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების პროცესში შეინიშნება შემდეგი ხარვეზები:

- საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეული პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით, საკრებულო 1 მარტიდან იწყებს მუშაობას, რისთვისაც გამოსცემს შესაბამის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელშიც განსაზღვრულია პრიორიტეტების შედგენისათვის წარსადგენი ინფორმაციის ნუსხა და წარდგენის ვადები. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, მსგავსი შინაარსის დოკუმენტის მოძიება 2013 წლის პრიორიტეტების დოკუმენტთან დაკავშირებით ვერ მოხერხდა, შესაბამისად, აუდიტის ჯგუფი არ ფლობს მტკიცებულებას აღნიშნული პროცედურის განხორციელების თაობაზე.
- მუნიციპალიტეტს საკუთარი პრიორიტეტების თანმიმდევრულობა მორგებული აქვს სახელმწიფოს პრიორიტეტებზე. მაგალითად, აბაშის მუნიციპალიტეტს პირველ სამ პრიორიტეტად განსაზღვრული აქვს შემდეგი მიმართულებები:

1. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება (02 00).
2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (03 00).
3. განათლება (04 00).

იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნული პრიორიტეტები თანმიმდევრულად ემთხვევა სახელმწიფოს მიერ განსაზღვრულს, არსებობს მაღალი რისკი, რომ მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი ფორმალურადაა მომზადებული სახელმწიფოს პრიორიტეტების შესაბამისად. სასურველია, მუნიციპალიტეტმა ძირითადი მიმართულებების განსაზღვრისას იხელმძღვანელოს საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, სადაც განსაზღვრულია ის საკუთარი უფლებამოსილებები, რომლებიც ადგილობრივი თვითმმართველობის ძირითად პრიორიტეტებად შეიძლება ჩამოყალიბდეს.

### პირობითი მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსაზრებით, გარდა „პირობითი მოსაზრების საფუძვლების“ საკითხების შესაძლო გავლენისა, აბაშის მუნიციპალიტეტის 6 თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, განხორციელებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

### აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

### აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიხეილ ჩიქოვანი

აუდიტორ-ასისტენტი




ხელმოწერა

18.11.2013

თარიღი

თამთა გელაშვილი

აუდიტორ-ასისტენტი



ხელმოწერა

18.11.2013

თარიღი

შალვა ბუცხრიკიძე

აუდიტორ-ასისტენტი



ხელმოწერა

18.11.2013

თარიღი